


ნაცნობი

ISSN 0132-6015


ქართული
გეოგრაფიული

17-84

ნახ. მ. აბაშიძისა



— გმართველი საქართველო ნაცისტურმა ჩაგვებით და
ღმეს მიღება არ ეძნება!



სამივლინებო ბრიკიბიკი

თელავის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანებაში მარტო ივნისში რესპუბლიკის სხვადასხვა ორგანოდან მივლინებული იყო 28 კაცი სულ 143 დღის ვადით, ხილნაღის რაიონს კი ეწვია 40 კაცი 60 დღის ვადით. ხაქმე ხომ შემოწმებათა რაოდენობა კი არა, მათი ხარისხია. ზღეზა ხოლმე, შემოწმებელნი ბევრი არიან, დარღვევები კი რჩება.

გივი
ლომიძის
ნახატები



თავაფხვეტილი

განა ცოტა იხეთი ფაქტები, როცა, ვთქვათ, მექანიზატორი ვენახში ტრაქტორს საათში 10-12 კილომეტრი სიჩქარით დააგეღვებს და ოდნავადაც არ ანაღვლებს ნიადაგის დამუშავებისა და მცენარეთა შეწამვლის ხარისხი, ვინაიდან ხელფასი ერიცხება არა მოსავლისათვის, არამედ ჰექტარების რაოდენობისათვის. საბოლოო ანგარიშით ეს ვნებს არა მარტო კონკრეტულ მეურნეობას, არამედ მთელ საზოგადოებასაც, ვინაიდან შეიძლება ადამიანის შინაგანი გადაგვარება გამოიწვიოს.



— თავი მოეჭრა სიძეს, ვერ გატეხა! ხომ გაფაფრთხილეთ, ზუგდიდის თეფში დაუდეთ მეთქი!

ზუგდიდის ფაიფურის ქარხანა 1975 წელს ამოქმედების პირველი დღიდანვე არადაამაკმაყოფილებლად მუშაობს. მიზეზი სწორედ შრომისა და წარმოების ორგანიზაციის დაბალი დონე გახლავთ. გაუთავებელმა კაპიტალურმა რემონტმა, კვალიფიციური მუშების მუდმივმა დეფიციტმა, კადრების დიდმა დენადობამ, პროდუქციის არადაამაკმაყოფილებელმა ხარისხმა გამოიწვია ის, რომ საწარმოო სიმძლავრეებს აქ მხოლოდ მეათხედი შესაძლებლობით იყენებენ.

„რეპეტიტორი“ ლათინური სიტყვაა (repetitor) და გამაპორობინებელს ნიშნავს. რეპეტიტორი აბიტურიენტს (აგრეთვე ლათინური სიტყვაა და წასასვლელად მზად მყოფს და, გადატანით, საშუალო სკოლის დამამთავრებელს ნიშნავს) უნდა ამეორებინებდეს განვლილ პროგრამას, ამზადებდეს უმაღლეს სკოლაში შესასვლელად.

თხოვითი, ოცი, ოცდაათი და ზოგჯერ მეტი ბავშვის მომზადება ძნელი და, ალბათ, შეუძლებელია, მაგრამ ანაზღაურებაა კარგი — 700, 800, 900 (ზოგჯერ მეტიც) მანეთი ერთი აბიტურიენტის მომზადება!

საზებრო მასალის „სწავლება“ თამაშ-თამაშით ხდება! „მომზადებთ აქედან აქამდე!“ და გამოკითხვა — შერჩევით. წერის სწავლებაა ძნელი. ამ ბოლო დროს „პროფესიონალი რეპეტიტორები“ საქმეს იმით აიოლებენ, რომ მათ მიერ დაწერილ (თუ სხვისგან გადმოწერილ!) „თემებს“ (ასე ეძახიან წერით ნამუშევარს) ურიგებენ და აზებირებინებენ თავინათ შვირილებს. სამოცდაათი თემის მომზადებაც ამათ იოლი საქმე, მაგრამ ერთხელ დაწერილი თემა მეტ-ნაკლები ცვლილებებით გადადის ხელიდან ხელში. თემები იყიდება „შპარგალკებად“, იყიდება „შპარგალკების“ ფოტოაბრები!.. არსებობს „საუნივერსიტეტო თემები“, „ბუშკინის თემები“, „გეგის თემები“, „სასოფლოს თემები“ და „სამედიცინოს თემები“. თუ, მაგალითად, თემა ამშვენებს ნაღდი იარაღი — „შარშან ამ თემამ სამედიცინოზე ფრიადი მიიღო“, გაზულუქებული შვილების გაზულუქებული მშობლები ფასს არ იშურებენ და საწყალი ხელმოკლე მშობლებიც მათდა უნებურად ჰბაძავენ თავინათ კონკურენტებს (ამას ასეთი ფაბრთლება ეძებება: „შვილი ყველას უყვარს“).

ჩვენ ერთი ასეთი თემა ჩავგივარდა ხელში და მისი ანალიზით მკითხველს გვიჩვენა ვუჩვენოთ ზოგი რეპეტიტორის „მუშაობის“ შუქ-ჩრდილები. თანაც ვიმელოვნებთ, რომ ამ თემით აბიტურიენტი სასურველ მიზანს ვერ მიაღწევდა და ეგებ ჩვენმა შენიშვნებმა შევირდა და მის ხელოვანს მცირედნი დახმარება გაუწიოს შემდგომი მუშაობები (გამოცდები გაისადაც ჩატარდება). განსახილველი თემის სათაურია: „რუსთველის საქართველო და დღევანდელია“. იგი, რა თქმა უნდა, ასე იწყება: „შ. რუსთველი! — წარმოვთქვათ ამ სახელს და გული სიამაყით ვავსება. იგი სომე მოღრუბულ ცაზე ელვის გასხიონებაა, რომლის თვალწაუწყველი ქმნილება ისე ღვაკს მის დროინდელ ლიტერატურის შედევრთა შორის, როგორც ნუარებში ლალი ხარიბეი...“

ამ ნაწერში ღიმი ადგილი აქვს დათმობილი სიტყვის რუსთველისდროინდელ და დღევანდელი მნიშვნელობათა კვლევას (სათაური ამართლებს ამას!). ავტორი ზოგჯერ თვით რუსთველსაც ეკამათება. მოვიყვანოთ ამონაწერებს ამ ნაშრომიდან ჩვენი მცირე კომენტარები. თავისდა სასახელოდ და ზოგიერთი რუსთველოლოგის გულის გასახეთქად ავტორი პოემაში პოულობს ახალ პერსონაჟს, რომლის არსებობა დღემდე ბნელით იყო მოცული. მოვუსმინოთ ავტორს:



„ირვევა, რომ ავთანდილს ჰყავდა ნახევარძმა (დედით), რომლის მამასაც დავითი რქევიო. ტარიელმაო, ამბობს ავთანდილი: შემიტკო და შემიყვარა, ვითა ძმა დავითა შვილი“. ამისი მამა და ვითა სხვა ადგილას არის ნახსენები: „ყმა ქალსა ეტყვის: „პატრონი ნეტარ სად არის და ვი თა...“ „სხვიმოსილი შოთას ეს ბრილიანტოვით უნაკლო ქმნილება ბევრ საინტერესო ცნობას გვაწვდის საქართველოს ოქროს ხანაში მცხოვრები გვირგვინისა და იმ გარემოს შესახებ, სადაც მათ უხდებოდათ ამ განსოცარი გვირგვინს დაღვნა. მათი მჭიდრო კონტაქტი ბუნებასთან და მის ქმნილებებთან პირდაპირ ხელშეხსენებია. ამ ხელთუქმნელ ქმნილებაში განსაკუთრებით უხვად არის წარმოდგენილი ცხოველთა სამყარო, ხოლო სიტყვა ცხოველი ღმერთზე და ადამიანზედაც კი ითქმის: „პატრონი ჩემი გამზრდელი ღმერთითა და ღმერთულბრ ცხოველი“. გარეულ ცხოველებთან ერთად (ლომი, ვეფხვი, ჯიქი, მგელი, მელა, შველი, ირემი, კანჯარი, ქურციკი...) შინაურებიც ბლომად არიან: ვაცი, თხა, ცხვარი, ზროსა, კატა, ძაღლი, ძაღლის ლეკვი, ცხენი, ვირი და მათი ნაჯვარი — ჯორი (შდრ. მთიულ-მოსურთი: ჯორი — ჯვარი). უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ ზროსასთან ერთად არ იხმარება მისი მამრი „ხარი“. მართალია, არის ფორმები: „იხარებს“, „ხარებად“, „გახარება“, მაგრამ ეს ფორმები სიტყვა „სინარულ“-ს უნდა უკავშირდებოდეს. ასევე უცნაურია, რომ სიტყვა „ლორი“ არა ჩანს, მისგან შექმნილი ფორმები კი სწორად იხმარება: ნესტანი მიმართავს მელიქ-სურხაის ხაღმებს; „მოღრუბულხარო, დამეთარხარო, თქვენ ჩემსა პატრონობასა!“ ტარიელი პირადება ავთანდილს: „თუ გიტყუო, მოვადრო, ღმერთთან რისხვით გამოკითხოს!“ და ა. შ.

შნშნ. მოლორება მოტყუებას ნიშნავდა და ღორთან (СВИНЬЯ) საერთო არაფერი აქვს.

ავტორი განაგრძობს: „ასევე უცნაურია, რომ ვევეტირანული თხები რუსთველს მტაცებელი ცხოველებისათვის გაუთანაბრება: სატაცებელი სწერენ ტარიელს: „ჩვენთა მეგლთაცა დასჯაჲნ თქვენნი, ინდოთა

თხანია“. ამის მიხედვით ვასაგებია ვეფხისტყაოსნის ბოლოს ნათქვამი: „შიგან მათთან საბრძანსითა თხა და მეელი ერთად სმოედეს“-ო. თუ თხას სორცის ჰამა შეუძლია, მეელი მოძოვს ზალახს...“

მოვუსმინოთ ისევ ავტორს: „ვეფხისტყაოსანში“ კვერცხი არის, ქათამი კი არა. კვერცხი ხან ბატისაა, ხან — ტრედისა: ფრიდონმა ნესტანს და ტარიელს აჩუქაო „ცხრა მარგალიტი სიდიდით მართ ვითა კვერცხი ბატისა“, —ხოლო ფარსადანმა იმავე ნეფე-დელოფალს აჩუქა: „კვლა მარგალიტი ათასი მართ ვითა კვერცხი ტრედისა“. მულა-ზანზარში უფრო მსხვილ-მსხვილი — მარგალიტი ცხოვდნია, ვიდრე არაბეთში, მაგრამ დევების მარგალიტი ორივეს სურავს: დევების საგანძურშიო, ამბობს რუსთველი, „ჩნდის მარგალიტი ოდენი ბურთისა საბურთალისა-ო.

როგორც ვთქვით, ქათამი და მისი კვერცხი არა ჩანს. ეტყობა, მაშინ ჯერ კიდევ არ არსებობდა კოდის მეფრინველების ფაბრიკა (სიტყვამ მოიტანა და ვეფხისტყაოსანში არც კოდის რისქილი ჩანს, თუმცა სხვა ნაგებობები წარვალდა)“.

შნშნ. აქ კარგ ცოდნას ამჟღავნებს ავტორი. ოღონდ მან მინდა იცოდეს, რომ „საბურთალი ბურთი“ ჩოგან-ბურთის ბურთია, რომელიც ბატის კვერცხს მაინცდამაინც ვერ „სურავს“.

მოვუსმინოთ ისევ ავტორს: „პოემაში, დიდ მხარებაშია ვირი: „მართლად თქმულა: „არა მმართებს ყვაჲს ვარდი, ვირსა რქანი“, „მისთა სპათაცა ნუ დაჰსოც ზროსათა ვითა, ვირთო“. ავთანდილი გაბრაზებული ეუბნება ტარიელს: „რაცა მიწვრთინარ, იქვართი, კვადრო, უწვრთელი ვირია“-ო. აქ ცოტა მორიდებას იჩენს, მეორეჯერ კი პირდაპირ „ვირს“ უწოდებს: „კვლა მოვიდ შენად ნახვად, შენთვის მოკვდე, შენთვის ვირო“-ო. ერთგან ტექსტი დამახინჯებული უნდა იყოს: „ლაშქართა დავყრი, ცოტათა წამოვალ, შენ კარმ ვირეო“ (უნდა იყოს: „ვირებით“, ე. ი. ვირებით წამოვალ)“.

შნშნ. „ვირო“ ნიშნავს: ვიარო, „ვირები“ — ვიარები, ვივლი. სხვა ყველაფერი სწორია.

„დეკაულს, — განაგრძობს ავტორი, — რუსთველის დროსაც „უშობელი“ რქევიო: „ადრე სცნობ, არის იგი ყმა შობილი თუ უშობელი“.

შნშნ. აქ კი უხეშ შეცდომას უშვებს წერილის ავტორი: „უშობელი“ აქ დაუბადებლად ანუ ავსულს, ემშაჲს ნიშნავს.

„ზოგიერთი სიტყვა, რომელიც ჩვენ ახალი გვეონია, უკვე რუსთველთან ცოცხალ მიმოქვეყანია. მაგალითად „ღამა“, ჩვენ რომ ფრანგულიდან რუსულის გზით შემოსულად მივიჩნევთ, ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში ხმარებაში ყოფილა: „მე დავანკვედრო ესე მზე დამისთვის დამზადებულო“-ს წერს თემის ავტორი.

შნშნ. არ რის სწორი! სტრიქონი ასე უნდა წაიკითხოთ... და, მისთვის დამზადებულს, სადაც „და“ „დავანკვედრო“-ს შემოკლებული გადმოცემაა.

რუსული სიტყვა



„ზოგი რუსული სიტყვა რუსთველის დროსვე ჩანს შემოსული, უფრო ზუსტად, ჩვენი სიძის იური დოლოგოვსკისა და მისი მახარების მიერ შემოტანილი. ერთ-ერთი ასეთია პურის სახელი «ХЛЕБ» ავთანდილი წერს ფატმას: „შენცა ვინდა, შეცა მინდა გაუწყვეტლად შენი სლება“-ო. აქ მარტო პურზე კი არაა საუბარი, არამედ პურ-მარბლზე, ვაჭართა უსუცესის შეულ-ლეს ამ საკითხში არაფერი შეეშლებოდა“.

შ. შ. შ.: დიხაზე, რომ ფატმას არაფერი ეშლებოდა, მაგრამ თქვენ გეშლებათ: „სლება“ აქ „ეასლება“ ზმნის მასდარია და არა რუსული „ХЛЕБ“!

ჩვენს წინაპრებს განსხვავებული სასმისებზე სვდნით, მაგრამ ისე კი არა, ანლა რომ ზოგიერთი მოლორებული მოქვიფე ლამფის შუშით და ქალის წვირიანი ტუფლით სვამს. არა! მამინ ყველაზე საპატიო სასმისი დოს სტაქანი (რუსულად — стакан) ყოფილა. თვითონ მელიქ-სურხავი ამ სასმისით მიირთმევდა ღვინოს: „რა შეფეშან უხენს წინა სვა მრავალი დოსტაქანი, კვლა შეხვენს და კვლა აუვენსეს სხვა ფარჩნი და სხვა ჭიჭინი“; ამ დოს სტაქანით სმა ტარიელსაც კი უჭირდა: „ავიყარენით, მიგვიჩრდა სმა დოსტაქანისა მეტისა“-ო, ამბობს იგი. რაკი დოს სტაქანებო ქონდათ, ცხადია, ჩვენი წინაპრები დოსტაქანზე იყვნენდნენ სასმელად, ოღონდ მგზავრობისას ღვინოს ამჯობინებდნენ. ძმადნაფიცები „მინდორსა შიგან სადილად გარდასდეს უდილადოსა, ვითა პმართებდა, პურობდეს, ღვინოსა სმიდეს, არ დოსა“.

შ. შ. შ.: ლოგიკური დასკვნაა, მაგრამ ქველ-ში სწერია: „დოსტაქან-ი (სპარ. დუსტან „სასმისი“, „ფილა“) ძვ. დიდი თასი“-ო, ხოლო ამ სასმისის სიდიდეს საბავადასტურებს: „დოსტაქანი მეტად დიდი სასმისი“-ო, ამბობდა დიდი ლექსიკოგრაფი.

„რუსთველის საქართველოში ძალიან განვითარებული ჩანს ვაჭრობა. გავისხეწოთ ზღვათა სამეფო და ვაჭართა ქალაქი გულანშარო, რა თვალმარგალიტი ტრიალებს ვაჭართა უსუცესის უხენის სასლში, რა ალემ-მიცემობაა განაღებული! ჩვენ რომ გველონია: „ლევვი საქონელი“ და „ლევვი ოპერაციები“ გუშინწინდელი ამბავიანო, არაა მავი მართალი. ნესტანმა რომ ტარიელს სამხრე აჩუქა, ის „ლევად“ ნამოვნნი იყო. ამაზე ტარიელს მოიარებთი მიანიშნებს ავთანდილი: „სჯობს ასმათისა არ-ლევვა მავა სამხრისა ლევასა“. ეს იქიდანაც მტკიცდება, რომ როსტუვანი ვუბნება სოვარტს: „შენ თუ უშმაგო მგონისარ, ვარმცა ურია მე ლევით“.

შ. შ. შ.: არა, ბატონო! სამხრეზე რომაა საუბარი, იქ „შელევა“ ზმნა გვაქვს („ვერ შეელია“), ხოლო ლევი საკუთარი სახელია. სახარებაში ვკითხულობთ: „და ამისა შემდგომად გამოვიდა (იესე) და იხილა მეზურევი სახელით ლევი მჯდომარეი საზურევესა ზედა და პრეჟა მას...“ (ლუკა, 5, 27).

„ალემ-მიცემობა რომ ფართოდ იყო ვაერცვლებული რუსთველის საქართველოში, იქიდანაც ჩანს, რომ ტროიკული ქვეყნების ხილი „ბანანი“-ც კი შემოქონდათ: „დრო გარდაუწყდეს შერმადინს, მიჰხედენ ლაწვისა ბანანი“. როგორც „ლაწვი-ვარდი“ („არ წაიტან, გაირჯები ლაწვი-ვარდი, ცრემლთა მდენი“), ისე „ლაწვის ბანანი“-ც მცენარეა, ხილია, ოღონდ, როგორც ჩანს, დღევანდლისაგან განსხვავებული (ფერით)“.

შ. შ. შ.: ვერც ამას დავიჯერებ: „ლაწვისა ბანანი“ ლაწვის ცრემლით ბანას ნიშნავს.

„ისეთი პროლეტები, ჩვენ რომ ცივილიზაციის მოტანილი გვევლინა, რუსთველის ეპოქაში პროსტო ყრია. მაგალითად, ავიღოთ ხალვა: ეს პროლეტი ბლომად უმზადებიათ ინდოეთში. მამანემ სარიდანსა, ამბობს ტარიელი: „ხალვა მოსტულდა, შექმნა გულს კაუშანის ჯარები“-ო. არ არის გასაკვირი: ჩვენ დროშიც ხომ ვიცით ოჯახებში, სადაც სიზილალა, ზუთის, ჩაქაფული, ოქროსფერი ხაში და კალმასი ერთ მოძულეებში (და კალმასს სოკოსაც ცხვირს უბზუებენ). ხალვა და ალვანსი ამათთან რა მოსატანია!“

შ. შ. შ.: თემის ავტორი მამრი ჩანს და გვარიანი გურმანიც, მაგრამ ჩვენ პირველსავე სიტყვასა მოვიდეთ:

„ხალვა არც გულანშაროლებს ჰკლებიათ. ნესტანსაო, ამბობს ფატმანი: „ერთი ზანგი ვაშსაურე, მე შევიდი, ენანი ხალვით“-ო. მაგრამ ფარსადღის ამაყი ასული მაინც დამინც არ გიყვებოდა ხალვისათვის. ფატმანი იქვე შენიშნავს: „ძლივ ვაჭამი ცოტა რამე ათასითა შეხვეწითა“-ო.

საყვარელი საყვარელსო, ამბობს გენიალური შოთა, „თავის წინა იგონებდეს, ნიადაგმა ქონდა ხალვა“-ო. ვერ გამი-



გია: ხალვა რა საყვარელის წამალია (ღვინო, კიდევ, პო!), რომ განმარტობულ გულამწვარ მიჯნურს მუდამ უნდა ჰქონდეს?“

შ. შ. შ.: საქმე ის არის, რომ ქველ-ში წერია: „ხალვა (არაბ. ხალვა) ერთგვარი ტკბილეული; მზადდება შაქრისაგან და ნიგვისის, მზესუმზირას და მისთ. დანაყილი გულისაგან“. ეს ის ტკბილეულია, ჩვენ რომ „ხალვა“-ს ვეძებთ და ჩვენს მალაზიებშიაც რომ გამოჩნდება ხოლმე ხანდახან. იმავე ქველ-ში წერია: „ხალვა (არაბ. ხალვათ „მარტობა“) მარტო ყოფნა, მარტობით მოწყენილობა“. აი, ეს არის ის სიტყვა, რომელიც ვეფხისტყაოსანში იხმარება და, ამიტომაც, ხალვაზე გამოთქმულ დებულებებს დებილობის სუნი უდის!..

„ვეფხისტყაოსანში ზოგიერთი მეცნიერული, კერძოდ, ლინგვისტური ტერმინიც იჩენს თავს. მაგალითად: „ტარიელ უჭვრეტს ავთანდილს უსულოდ ქვემდებარესა“. ქვემდებარედ უსულო საგანიც შეიძლება იყოს და სულიერიც. უცნაურია, რომ ქვემდებარესთან შემახმენელიც არ არის ნახსენებო“-ო. — უკვირს ავტორს.

შ. შ. შ.: „ქვე-მდებარე“ ძირს მდებარეა და არა ლინგვისტური ტერმინი.

თემის ავტორს რუსთველის სადაურობის საკითხიც აწუხებს, მაგრამ წინააღმდეგობებს აწყდება. „ზოგი დილაქტური ფორმის მიხედვით რუსთველი რაჭველი ან ხევსური უნდა ყოფილიყო. დააკვირდით ამ მაგალითებს: „ყმა ნავის თავსა უშიშრად ქვე დგა, არ თურე კრთებოდა“; „მერმე ავღევ წამოსვლად, მან დამიწყო ქვევე წვევა“; „მე თუ ზებრი მიცინია, ქვე-ქვე მითქვამს იღუშად ვა“ (შდრ. არჩენას ლექსი: „იმერლები იძინიან „კი-კი-კი“-სა და „ქვე-ქვე“-სა“). მაგრამ რა ვუყოთ იმ ფაქტს, — თვითორტიკულად შენიშნავს ავტორი, — რომ ვეფხისტყაოსანში შა-პრეფიქსი იხმარება? თვითონ მთავარი გმირი ტარიელი ამბობს: ყურში მოლარემ მითხრა, ვიდაც ქალი გკითხულობსო და „ავდეგ, მსდომნი ნადიმობად აემზადნეს ასაყრელად, შადი, — ვუთხარ, — ნუ ასდგებოთ, მოვალ ხანთა დაუზმულად“. ვ. ი. სტურმები ტარიელს გამოჰყვანენ, მაგრამ ვიდრე გასანდელში პალტოებს და დუბლიონებს (ასე!) ჩაიხვედნენ, ტარიელი მოუბრუნდა და შინ შადით, არ წანვიდეთო, უთხრა“.

შ. შ. შ.: „შადი“ ძვ. სპარსულად ყოფილა „ლხინი“. „შადი ვუთხარ“ — ლხინი ვუთხარ, ლხინის განგრძობა ვუბრძანე.

„ვეფხისტყაოსანის ენა ნამდვილად ინტერნაციონალური ენაა. მასში ზოგი მგერული სიტყვაც კი ვხვდებით. მაგალითად: „კვლა ბრძანა: მონა თორმეტი შევსნათ ჩვენ თანა მარებლად“; „ოდენ ჩნდა შავი ტაიჭი მისი მის მზისა მარებლად“. „მარებელი“ რომ მგერულად „მაჭანკალს“ ნიშნავს, ვგი ვვლამ იცის; გავისხეწოთ სიმღერა „მარებელი“... მაგრამ მარტო ამ ნიშნების მიხედვით რუსთველის სადაურობის საკითხი ვერ გადაჭრება. რუსთველი ჩვენი ღრმა რწმენით, იყო ზოგადი ქართველი“. — დაასკინის ავტორი.

შენ.: „მარბელი“ მოარულს ან მარბელს ნიშნავს... ვფიქრობთ, საკმარისია. თემის ავტორს წერა ეხერხება („წერის ატანილია“, ამბობენ ზოგჯერ ასეთ კაცზე), მაგრამ ფაქტობრივი მასალის ცოდნაში მოიკოჭლებს...

P. S. ჩვენ რეპეტიტორობის გამოცდილებას ვერ დავიკადნით, მაგრამ „სვამან სხვისა უკეთ იცისო“, ბრძანა რუსთველმა და ამიტომ ვებღავთ ზოგი რჩევა მივსცეთ ამ რიგის რეპეტიტორებს: ორი-სამი ბავშვის კარგად მომზადება გამოცდებისათვის საძრახის საქმედ არავის ჩათვლება (თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ამ ბავშვებს ნათესავები და უფროსთა „მუქით“ ბავშვებიც ემატებიან ხოლმე), მაგრამ ათეულებიდან ათასების მოხვეტა და მოხვეტა უკვე საქმოსნობად და არაკეთილსინდისიერ ქმედებად ითვლება! ასეთი რეპეტიტორებო, აქედან ასეთი გამოსავალი არსებობს: თუ თქვენზე ავი ხმები დაირსა, ადექით და პრესაში დაბეჭდეთ რეპეტიტორების განმარტებელი წერილი: ლანძმით და თათნით რეპეტიტორთა საქმიანობა, უკეთესეთ მორალი მოყვასთ და ა. შ. დამერწმუნეთ, ამით თქვენი პრესტიჟის ნაწილობრივ რეაბილიტაციას მაინც მოახდენთ! ამ ხერხს დიდი ხანია იყენებენ: მასსენდება ბავშვობისას თბილისში ნანახი: სოფელი ქალი აკივლდა, მიშველეთ, ჩემოდანი მომპარესო! მივარდა ერთი „ჯენტლმენი“: „აი, იქით წაიღეს, ქალბატონო („ქალბატონო“), იქით წაიღეს!“ უცებ „ჯენტლმენს“ წინ აესვება ლეიტენანტის სამხრეებიანი სამხედრო პირი, გაჰკრა სილა და ბურთივით გააგორა ქუჩაში. სილანაკრავი წამოსტა და კისრისტებით უკანმოუხედავად გაიქცა. ლეიტენანტმა ორიოდე ნაბიჯს იქით, გაზონებს უკან გადადგმული ჩემოდანი აიღო და პატრონს მოუტანა. კარგა ხანია, ასეთი მართალ-მაგარი და კეთილმოვანი სილის მოწმე აღარ ვყოფილვარ!..

არ შეგეშინდეთ! რაც შეიძლება ბევრ აბიტურიენტს გაუწოდეთ თქვენი მკობრული ხელი, ოღონდ, როცა ისინი თქვენთან მოვლენ და ხარკს მოგიტანენ, გზის დალოცვა, — მეცნიერების მწვერვალების დაპყრობის სურვება არ დაგავიწყდეთ!

სინდისი დაიმშვიდეთ: ენა („დედაენა“ და სხვ.) რასაც ნიშნავს, კარგად მოგესხენებათ, მაგრამ, აი, რას წერს ნემესიოს ემესელი: „დიდი სახმრობაა აქუს ენასა, რამეთუ შეპკრებს ვიდრე-მე საზრდელსა და ქუეშე კბილთა შეუყრის, ვითარ-იგი ხუმირი ხელითა (- ხელსაწყობთა) მიერ იფქლსა წისქვილსა; რამეთუ რომელითაჲ სასითა ენაი ხელ ვიდრე-მე არს ცონისის“ („კაცისა აგვ.“).

ამ ენასაც ხომ უნდა „იფქლი“?! და, რაც მთავარია, თვით რუსთველმა ბრძანა: „სმაჰმა დიდად შესარგოო...“

სიგირგალი

პროზა

ნოველა

— აი, შენი საიდუმლო კომისიის შემადგენლობაც, ჩემო იპოლიტე! — ნიშნის მოგებით შესძახა ქეთომ, ჩაწიჭიჭიებული სია მეუღლეს გადასცა და კმაყოფილებით დაუმატა: ქვესკნელში რომ ჩამარხათ, მაინც მივაგნებდი, მაინც ჩავიდებდი ხელში!

— ყოვლადშემძლე ხარ, ჩემო ქეთინო, ყოვლადშემძლე! — ახეთივე კმაყოფილებით წარმოთქვა იპოლიტემ, პიჯაკი მკლავზე გადაიკიდა და ერთბაშად გაუჩინარდა. სულ მალე იგი ძველთაძველ მეგობარს ეწვია ბინაზე და პირდაპირ საქმეზე გადავიდა.

— შენს ხელშია, ჩემო მათე, ჩემი სული! ხომ იცი, ღმერთმა დაგჩაგრა, ერთადერთი შვილი — პეტეკო გვაყოფინა და სტუდენტს რომ არ გახდეს წელს, გავგივლებდი ქეთინო კი ნამდვილად თავს ჩამოიხრბობს!..

მათეს გაცინა. აღელვებულ და აკანკალებულ მეგობარს წყალი მიაწოდა.

— კი მაგრამ, კომისიაში რომ არა ვარ? დაღარდიანდა იპოლიტე, მაგრამ მოიგონა მეუღლის სიტყვები და მტკიცედ წარმოთქვა:

— ხარ! ნამდვილად ხარ! ჩემმა ქეთინომ მახარა დღეს! პირველწყაროდან იცის!

— მე და ტყუილი? — ეწყინა მათეს. — კი მჭერა შენი, მაგრამ ქეთინოზე მივითანო ეტვი? რომ გამოგოს, მომკლავს! ტელეფონს ზარმა დაიწყებია, მათემ ყურმილი აიღო.

საუბარი რომ დაამთავრა, დიმილით წარმოთქვა:



— ბარაქალა ქეთინოს! მან უნდა თქვას ქალი ვარო!

— მიშველეთ, მიშველეთ, ჩემო მათე! ხომ გაგიგონია, ნუ დაკარგავ ძველსა...

— კარგი! მოგიკვდეს მათე, თუ პეტეკომ პირველ სექტემბერს სტუდენტითი არ ჩაიღოს ჯიბეში ოღონდ მტკიცე სიტყვა მომეცი! იცოდეთ: რაც აქ ითქმება, აქვე უნდა დაიმარხოს!



— დავმარხავ! დავამარები! — იკივლა დაიმედებულმა იპოლიტემ.

მათემ მიხედ-მოხედა, ხომ არავინ გვისმენსო, და წაუჩურჩულა: — პეტეკომ თემა ასე უნდა დაიწყოს... — და მან მხატვრული ლიტერატურის მნიშვნელობის შესახებ ზოგადი ხასიათის რთული წინადადება ჩააწერინა.

— ამის თავი აქვს პეტეკოს?! ეს თუ დაწერა, უშენოდაც მიიღებს ხუთიანს, ბიჭო! — ისუბრა იპოლიტემ.

— ლანგრით მიართმევნი! — ეყენა მათეს, მაგრამ გულთან ახლოს არ მიიტანა და დანაპირები საქმის შესრულებას შეუდგა.

სმენადქვეულ იპოლიტეს ერთი სული ჰქონდა გაეგო, რას ეტყუდა მეგობარი.

— განდობ საიდუმლოებას! — კვლავ ჩურჩულით დაიწყო მათემ, — ჩვენთან შიფრების სისტემაა, ესე იგი ნაწერების დასაიდუმლოება: წერის დამთავრების შემდეგ ნაწერებს აცლიან თავფურცლებს, სადაც აბიტურიენტთა გვარებია აღნიშნული, და სეიფში ინახავენ, გატყავებულ ნაწერებს კი ურიგებენ გამოცდებებს გასასწორებლად; მიდი და გაეგე ახლა, ვისა ნაწერი. გულთმისანი ხომ არა ვარ?! სწორედ ამ გასაჭირისათვისაა საჭირო ეგ პაროლი!

იპოლიტემ გულიანად გადაიხარხარა. — აი ქუუა-გონება! ეს ხომ გამოგონებაა! პატენტი ეკუთვნის ნამდვილად!

— და კიდევ ერთი: პირველი გვერდის ბოლო სტრიქონი წითელ ხაზზე უნდა გადმოაფრინო! გესმის? ეს სათადარიგო გზაა! — დაუმატა მათემ.

წერის ნიშნები რომ გამოაცხადეს, იპოლიტემ კვლავ ძველ მეგობარს მიაკითხა შინ. ზღურბლს გადააბიჯა თუ არა, შესძახა:

— ესაა შენი ვაუკაცური სიტყვა?! — რა სულელურ მდგომარეობაში ჩამაყენა, იპოლიტე, შენმა კრეტინმა?! — პაროლი დაავიწყდა მაგ ოჯახურს! მე კი მაინც მქონდა შენი იმედი!.. იქნებ გავასაჩივრო?

მათე ჩაფიქრდა, მოიღუშა და დაუმატა: — ყველა გამოცდელი ვნახე, ყველა ნაშრომი გადავქექე და რა აღმოჩნდა. იცი?! — რა?! — ხუთი პაროლიანი ნაწერი! — ისინი პეტეკოს ახსნაგები იქნებიან! ღმერთმა ხელი მოუშარათო!

— როგორ? — ეკვირა მათემ, — გამალურეთი გამყიდეთ?! — გიორგი გოლეთიანი ილუსტრაციები მ. აბაშიძის

ფეოდალი

შენ გეზიზნება,
გეზიზნება მთელის არსებით
ის — ნაჭურფალო მიდიარო და სული ღაბაკი.
ამპარტანე ფოდალით
ცხარწინ ბუჭლიან ხელს ვიტრიალებს,
ჭიალაღებს სიტყვა და იტაკი.

ის საქართველოს სვამს საღვებდელს
და იზნიქება რესტორანში კუთხე მაგიდას;
როგორც ვიდიან მშენებლობის აუტის და ცემენტს,
ხვალ რომ დასჭირდეს,
საქართველოს ისე გაეციდეს.

შოროსებს პირის მხელ ორმომი იმისი ენა
და ხარ ვასტროლი, დამცირებელი,
თითქოს მანქანამ შემოვასხა ქუჩაში ტლაპო.
ყენ გეზიზნება...
შორღვეული პირი მიუგავს
ძველი მანქანის აწველი კაობტ.

ტალახიანი არის სიტყვა, ვით ვასტრონომში
არის ნახერხი ტალახიანი.
ტალახიანი არის ღიმილი.



იგი დასწინის პატიოსნებას
და ეს ღიმილი სულეფ არ არის
ამოუხსნელი, ვით ფაქსიმილე.

გული ვერება,
მიომირო გინდა თავიდან,
განა იმტომ, რომ უზომო ღვინო დალია,
შენ გეზიზნება სახე შტეცელის,
იგი გიროზი, გულღვარეობანი
და თავგახული ფეოდალია.

ო, საუკუნე რომ იყოს ახლა
ან შევიდებოდე, ან შეთარამებე;
აინიარად ან მამულეად
სადმე სტამბოლში რომ გაევიდა,
ალბათ დამამათი წინ გაევიდებოდა,
გაეყოლებოდა ზღვაში ფელუკას.

ხელს შეუწობდა შენი ურის გადაშენებას
და ვით სწავლა რევენი ფეოდალს,
განუღებოდა რჯულსა და მუფეს
ისე, რომ ალბათ წარბი არც კი შეერხებოდა.

ის ახლა ზის და კონიაკის ცრემლებით ტირის...
შეუფეს მძობა
დამორღვებით ერომანოს ძმებად.
და ყავისფერი იმისი ხელი
შენ მხარზე თითქოს ვატრუნული ხელიკითი თბება.



ის მალავს თავის უვიციობას მოსწრებულ სიტყვით,
ლაზმადარობით,
ურმოკრულით,
არის მოხული

გამოსაველი მისი ხელის და ხალხს ატყუებს,
რომ თითქოს იყოს იარაღი პატიოსნების.

ის თვალთმაქცია,
თავხედია,
პატიმეფეავე,
მთელი არსებით გეზიზნება და გეზარება.

ის არის ხარბი —
მომხვეკვლობა გადაღებობა,
როგორც მოქანარება.

გალაღებული ეხურება ოფიციატებს,
ნაჭურფალს ფანტავს სასადლოში,
თითქოს დეადის ზედ ლოკინა,
როცა გეზევა და ნახვამი სახეს ვილოუნის.

შენ დამარცხდები,
თუ შეჯრის რამეს შეურიგდებ!
ლოვის სიღრმეში მიმალვობა შენი ურისთვის,
როგორ გასწიო სამსახური,
სმა ამოიღე...
ნუა პატივში საქმისანი და აფურისტი!

სარტელობს შენი შორიდებით,
გულკეთილობით,
სარტელობს შენი მოთმინებით,
შენი დუმილით.



შენ უფროხილდები შენს სიმშვიდეს და მუღღრობებს,
საბერბო შვირფას აზრდობლბთან მღღღობებით.

ო, ამ სიმშვიდის საზღაური იქნება მკაცრი...
კაცი ურცხვი და უტიფარი თავს დაედგომია.
სმა ამოიღე,
დამნაშავეს გადაელობე,
არ დაიხიო,
არ დაუთმო,
ესეც ომიამ..


ორი პერინანტი

ერთი არის მეფროვე,
დიდულ დეფებულე,
ღირსეული გეგმი,
სილო ურეო მეორეს,
მხოლოდ ქვეშევრდობა,
მხოლოდ კლერკის სკამია.

კლერკი დაუზოგავდ
მროშობს ქედმოდრეკლი,
წინით თვალებს იღლის,
სილო პატივეული
არის მხოლოდ მეთხველი
ტელეფონის წინის.

მისით დამრამავეული
მხოლოდ ურეზურია,
უკანური, ვიღაც
ფუნის ხმას აყოლილი,
ვისე არ იყის, რომ იგი
მდივს იმეგვებს ნიღაბს.

იგი ვაიძვერა
და ხალხს მოხერხებულად
აურის თვალში ნიჯარს,
სილო ის სხვა, მეორე,
წრლოში დგავს და არავინ
იმას არ თვლის კაცად.



აღარ ესმის, თავისი
ნაბიჯების სმაში.

მავრამ უწყობა,
რასაც თავგანწირულად
მისი ხელი ზღავნის,
წინსვლად რაც ეწვევება,
მხოლოდ ილუზია
მატარებლის ფანჯრის.

დამრული რომ ჰკონია
მისი მატარებელი,
თურმე ადვილს ტკეპნის,
სილო სინამდვილეში
მეორის შემადგენლობა
სხვისი მატარებლის..



ილუსტრაციები ჯ. ლოლუასი



ვისია ბაზარი?

ივლისში წითელწყაროელებთან სტუმრობა არ ღირს, რადგან ამ დროს შინ არავინ დაგვხვება. ყველა — დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, ბავშვი თუ მოხუცი — ადრე დილიდან გვიან საღამომდე მინდორშია გასული მარცვლეულის მოსავლის ასაღებად. პარტიის რაიონულ კომიტეტთან სპეციალური შტაბია შექმნილი, რომელიც მოსავლის დროულად და უდასაკარგოდ აღებასა და დაბინავებას ხელმძღვანელობს. ასე რომ, რაიონში სტუმ-

რისთვის ახლა არავის არ სცალია. საწარმო-დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მუშა-მოსამსახურეებიც სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ მინდვრებში გადიან და ეხმარებიან სოფლის მეურნეობის მუშაკებს.

წითელწყაროში სტუმრად ჩასულმა ნინამ, რადგან შინ არავინ დახვდა, გადაწყვიტა, თვითონ გამასპინძლებოდა თავის თავს და საკომლემურნეო ბაზარში შეიარა რამერუმების საყიდლად. უფურეს ნინა და თვალს არ უჯერებს: ბაზარსავე ქორვაჭრებით. დგანან დახლებთან ასაღვარდა, ჯან-ღონით სავსე ვაჭრები, დედაკაციც, გოგონები და მამასისხლად ყიდია კიტრს, პამიდორს, მწვანის...

— აი ყველანი მინდვრად არიანო? — ჩაილაპარაკა ნინამ და ქორვაჭართა ვინაობით დინტერესდა. თურმე ნუ იკითხავო! არც ერთი მათგანი წითელწყაროელი არ ყოფილა, ყველანი მეზობელი რაიონებიდან ჩამოსულან ჯიბის გასასქელებლად.

— უკაცრავად, რა გვარი ბრძანდებით? — ეკითხება ნინა ერთ-ერთ მათგანს.

— ჯიყაშვილი გივი! — ჯიყავით თავაწული, ამაყად უპასუხებს კაცი.

— სად მუშაობთ?

— ჯუგანის კოლმეურნეობაში მეძროხეთა ბრივადირად!

— მერედა, ძროხებს ჭამა-სმა და მოვლა არ უნდა ამ სიცხეში?

— შევბულებაში ვარ! — გაიღიმა გივი. ნინამ არ იცის, იმ კაცმა ტყუილი უთხრა თუ მართალი, მაგრამ ბაზრის მუშაკები რომ მას ხშირად ხედავენ აქ, ეს ცხადია!

წორის მეძროხეობის საცდელი კომპლექსის მანქანების პერემონტე, საქობოვლი ალექსანდრე ორჯონიკიშვილიც გივას გვერდით იდგა და თავის კიტრსა და პამიდორს ისე აქებდა, კილოგრამში სამი მანეთიც რომ მიეცემათ, არ დაგეანებოდათ!..

— ახლა, როცა მინდვრად გასურებული მუშაობაა, როგორ გამოგიშვებს ბაზარში? — ჰკითხა ალექსანდრეს ნინამ. მან გაიღიმა. თურმე ისიც „ამარავებს“ და „ემარება“ წითელწყაროელებს, რათა მუშაობისაგან დაღლილ-დაქანცულებს ბოსტნეული არ შემოაკლდეთ.

საერთოდ, როგორც იმ დღეს (10 ივლისს) გაირკვა, წითელწყაროს ბაზარში ყველაზე მეტად წნორიდან ჩამოდიან სავაჭრო და ისიც სოფელ საქობოდან. მევენახეობის კომპლექსის მუშა, საქობოვლი ტირანა სოსონიშვილი, მისი მოვარე, არასუწყვეტო დაცვის ყარაული ჯუმბერ სოსონიშვილი მეცნოველეობის კომპლექსის ტრაქტორისტი შოთა მელთემაშვილი, წნორის მექანიკური ქარხნის მუშა გარსევან მენაბდიშვილი და მათი ბევრი სხვა მეზობელი სამუშაო საათებში ბაზრის ჩრდილში ყოფნას ამჯობინებენ და საღამოობით, კოჭრის ნაცვლად ხელის ჭუჭყი რჩებიან!..

ანაგელმა სოსო გოგოლაშვილმა, რომელიც სარწყავ სამმართველოში მუშაობს ტექნიკოსად (რასაკვირველია, თუ მის ნა-

თქვამს დავუჯერებთ), ნინას განუმარტა, რომ ცვლაში ვმუშაობ და დღეს თავისუფალი დრო მაქვსო.

ვარდისუნის კოლმეურნეობის წევრს რეზო გვარამაძეს ლაგოდნიდან ჩამოუტანია თავისი ბოსტნეულის მოსავალი და ისიც „ემარება“ წითელწყაროელებს, რათა სამუშაოდან არ მოეცდნენ და საღამოს კიტრი და პამიდორი არ მიაკლდეს მათ სუფრას.

— ჰკითხეთ ჩემს თავმჯდომარეს, თუ გათონილი არა მაქვს ყანა, რატომაც არ გამომიშვებდა? — აქეთ შემოეღავა ნინას რეზო.

— პირველად ხართ ამ ბაზარში? — დაეჭვდა ნინა.

— პამიდორი რომ კილოგრამი სამი მანეთი ღირდა, მაშინაც პირველად ვიყავი! — თავისი თავი გაამასხრა ლაგოდნეულმა ქორვაჭარმა და კლიენტებს მიუბრუნდა: — აბა, კარგი პამიდორიო!..

და წითელწყაროელები ამ გაგანია სიცხეში რომ მინდვრებში ოფლს ღერიან, მათ ბაზარს მეზობელი რაიონებიდან ჩამოსული ეს ლომკაცები, ჯან-ღონით სავსენი, ასოვანნი და მხარბუჭიანი დაეპატრონენ. თუ ბოსტნეული გეძვირა და შეევაჭრე, თავიდან მოგიშორებენ, უკმესად გეტყვიან: — გინდა? აილე! არ გინდა? გაიარე!

ვითომ ეს დისპანსერია?

წითელწყაროს კანისა და ვენერიულ სნეულებათა სარაიონთაშორისო დისპანსერი სამ დიდ რაიონს ემსახურება. მაგრამ მისი შენობა ისეთი მოძველებული და დანგრევის პირასაა მისული, რომ აქ მეურნალობის ელემენტარული პირობებიც კი არ არის შექმნილი. ბარაკის ტიპის ეს მწყობრიდან გამოსული შენობა ავარიულ მდგომარეობაშია და მისი შეკეთება შეუძლებელია. დისპანსერს არა აქვს სამზარეულო, სასაიდლო ოთახი, კვდლები დახეთქილ-დაბზარულია, შენობაში ისე წვიმს, როგორც გარეთ. არც ერთი დამხმარე სათავსი არ არის წესრიგში!..

სად არ იჩივლეს, ვის არ მიმართეს დისპანსერის მუშაკებმა და თვით ავადმყოფებმაც, მაგრამ ყურად არავინ იღო მათი სამართლიანი მოთხოვნა!..

იქნებ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო დაინტერესდეს წითელწყაროელ მედიცინის მუშაკთა ამ გასაჭირით?

ვანო სინცაქა,
უზანგ წყარაუაშვილი.

ნახ. ა. ანდელაპაძის





— შენ რა გიჭირს, ამ უდიფტობამ უკვე მეთქეკიმი დაგვიმარცხა!


ბაზარს მოეჩაღო ბომბა!..

წერილს ვიგზავნი, ნიანგო, შენი ერთგული კაცული, მინდა იმაზე ვიამბო, რისიც თვითა ვარ მწასველი: შეილივით ნაზარდ ვაზის ძირს დღეს ცუდით კაფავს ავსელი, თესავს სარფიან საზამთროს, წინაპართ ჯიშის შპრასველი!.. ეს არ შეჰფერის ქართველ კაცს, ღირსება ყიდოს გროშად, მაწანწალად და ქორვაჭრად ბაზარს დაძრწოდეს ბოშად!

ნოდარ სოფიაშვილი



ნა. ი. აბიანიშვილის



პაი, ღუშეთის გზასო!

ღუშეთის 25 თებერვლის, კიროვისა და მასარაძის ქუჩებში საჯალალო მდგომარეობა-შია.

ღუშეთს ნაზარდი ქალაი გაბადრულ მთვარეს ჰგავსო, წარბებს უკოცნის დალალი, ქარი უვარცხნის თმასო. ვინ დაუწუნებს სიტურფეს, ვინ ამოიღებს ხმასო?! მზის სხივი გულში იხუტებს, ბროლი შენატრის თვალსო. მაგრამ რად გინდა სავარდო, თუ ვერ გადივლი გზასო, ვერ გაიქარვებ სადარდოს, ვერ დაუშვებ მხარსო?! ღუშეთში ბევრი გზა-შარა აოსრებულსა ჰგავსო, ქვა-ლორღი ახლავს საფარად, წუმპე გადასდის თავსო!.. ვინც გადიარა სამუნთლო, წყევლის გაჩენის ჟამსო, გუბეს იგონებს სამუნთლოს, ველარ იქარვებს ჯავრსო. ტუფლებსა იწმენდს დაგლეჯილს, გულ-შკერდში იცემს მკლავსო, მტვრითა და ბუჩით გატენილს ვინ ათქმევინებს კარსო?! სადღედამთილო ვიშვიშით ქოქოლას გვაყრის თავსო!.. იმან ისაროს ცოლ-შვილით, ვინც ვაგვიკეთებს გზასო!

3. არაგველი

საირ-საირი

ნახ. 0. შინაშვილი
 არჩეული
 პირობითი

— როგორ ფიქრობ, ჩემო ნუგზარ, წიგნის დაწერა უფრო ადვილია, თუ გამოცემა?

— ორივე ნიჭზეა დამოკიდებული!

— ჩემმა სიძემ გუშინ რეკორდი დაამყარა. ისე ახტა, რვა მეტრზე გადაბულ სანიშნოს გადაახტა.

— კაბინეტი აქვს?

— კაბინეტი რად უნდა?

— აბა, ისე რა ფასი აქვს მაგ რეკორდს?! არაფერი ყოფილა და ესაა!

— როგორ თუ არაფერი? გუშინდელი გაზეთი არ წავიკითხავს? იქ ეწერა მის მიღწევაზე.

— ჩემს სიძეზე სულ არაფერი დაუწერიათ გაზეთში, მაგრამ ისე ახტა, კაბინეტიც მისცეს, მოსაცდელიც და იქ მდივანიც დაუსვეს სუთნაირი ტელეფონით. აი, ესაა, ჩემო ძმაო, რეკორდი!

—:—

— ლექსი დავწერე, სიმღერასავით იკითხება! — თავი მოიწონა მეზობელთან პოეტმა.

— კაცო, შენ პოეტი ხარ თუ კომპოზიტორი? — ააფახულა თვალები მეზობელმა.

პოეტმა ახედ-დახედა მეზობელს და წყნით უთხრა:

— კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდაო, ეს მაინც გაგივიდიათ?

— წელანდელ შეურაცხყოფას სიყრუეც დამიმატე?! — აღშფოთდა მეზობელი და სწრაფად გაეცალა გაოგნებულ პოეტს.



ერთი წვეულებაზე თამადამ გრძელი სადღეგრძელოებით მეტად დაღალა თანამოსუფრენი. ბოლოს ერთ-ერთმა სტუმარმა ველარ მოითმინა და რისიანად წაუძღვრა: „თამადაო, ჩანჩალაო, ღვინო გვასვი ჩქარ-ჩქარაო!..“

— ღვინო რომ გასვათ, ჩემო ბატონო, ღვინოა ამისათვის საჭირო! — წამოენთო შეურაცხყოფილი თამადა და საყვედურით გახედა მასპინძელს.

—:—


— მეგობრებო! ბოლოს და ბოლოს, რა არის სიყვარული? — ნადიმოდან უკვე წამოსვლისას იკითხა ერთმა.

— მაგალითად, რა საჭიროა მაგის ცოდნა? არის და იყოს! არ არის და არცაა საჭირო! — გაეპასუხა გვერდით მყოფი.

— ნამდვილად მშვენიერი პასუხია! — მოუწონას ცეპმა.

— აბა, ასე ამოუსწნელი დარჩეს ეს საკითხი? — აღშფოთდნენ ქალები.

— ჰო, ასე დარჩეს! — თქვა ამათში ყველაზე ხან-



უსიტყვოდ

დაზმულმა მანდილოსანმა, — ნუ წავართმევთ ადამიანებს სიყვარულზე ფიქრისა და ლაპარაკის მშვენიერ განცდას, თორემ სიცოცხლეს აზრი და მიზანი დაეკარგება!..

—:—

— დავიღუპეთ, ჭიჭიკო! თომას ბიჭი შაქრიანი ღვინით დამთვრალა და მოწამლულა საცოდავი! — კივილით გააღვიძა შუალამისას ცოლმა ქმარი.

— რა გაკვივლებს ბერე, შე ქალო?! შენი შვილი ხომ არ მოწამლულა, დადგეს და იმის დედამ ჩამოიკაწროს სახე! — ცივად თქვა ქმარმა და გვერდი შეინაცვლა, — რამდენი მეზობლის ბიჭი გამოსკდება შაქრიანი ღვინით, იმაზე ძილი მე რატომ უნდა დამიფრთხო?! —

— კაცო, იმ თომას ბიჭთან ჩვენი ლუტუშაც ყოფილა და ერთად წაუყვანია სასწრაფოს საავადმყოფოში, აბა, არ ვითხრა?! არ შევიწუხოთ თავი?! —

— ქალო! — უცებ წამოვარდა ლოგინიდან კაცი და ტანსაცმელს ეცა, — რაღა თომას ბიჭით დაიწყე ამბის მოყოლა, ვერ თქვი, რა უბედურება გვეწია?! —

— შემეშინდა, ცუდად არ შეიქნე-მეთქი და შორიდან მოვიარე!.. — ტირილი მოერია გამწარებულ ქალს, — ვიფიქრე, ერთი უკვე იქაა და მეორეს წასაყვანადც არ მოგვიხდეს სასწრაფოს შეწუხება-მეთქი. ცოდვაა ისინიც, ღამეა, ეს ძილი იმათაც უნდათ!..

ნანა კანდელაკი



ილუსტრაციები ჯ. ლოლუასი

საგვარამონეტო კარგები

„მპროფსსმ ნიანგო!“, „ძმაო ნიანგო!“, „პატივცემულო ნიანგო!“ — ასე იწყება თითქმის ყველა წერილი და საჩივარი, რომლებიც რედაქციაში შემოდის. გვწერენ ქალაქებიდან, სოფლებიდან, რაიონებიდან, საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან. ცნობილია, რომ „ნიანგს“ წერილს დალხინებული და მოცილილი არ გამოუგზავნის, ნახეთ, რა კეთილმოწყობილი კლუბი და გზა გვაქვსო, ანდა სოფელში ავტობუსი რეგულარულად დადის და ქუჩებიც სინათლით არის გაჩახჩახებულიო! არა, წერილების ავტორები თავიანთი სოფლის თუ რაიონის გულშემატივრები არიან და ჩივიან თავიანთ გასაჭირზე, პრობლემებზე. „ნიანგი“ კი რა „ნიანგია“, თვალები დახუჭოს და თქვას: „მე არაფერი არ მესმის, არაფერს არ ვხედავ და არაფერი შემძლიაო!“ ხან საკუთარი ფეხით მიდის წერილში მოყვანილი ფაქტების შესამოწმებლად, ხან კი თავის ფურცლებზე შეახსენებს სათანადო ორგანოებს, თქვენს რაიონში, თქვენს სოფელში, ასეთი მდგომარეობააო, ხან კი წერილებს პირდაპირ აგზავნის კომპეტენტურ ორგანიზაციებში, მერე კი ელოდება მიღებულ შედეგებს.

ზოგიერთი ადრესატი დაბეჭდილ ან გადაგზავნილ წერილზე პასუხს პუნქტუალურად აგზავნის (ზოგჯერ იმაზე ადრეც, ვიდრე ფაქტები გამოსწორდება), ზოგიერთი კი საერთოდ არ იწუხებს თავს პასუხის გამოგზავნაზე.

1983 წლის „ნიანგის“ მე-9 ნომერში დაბეჭდილია იყო ავტორთა წერილები რუბრიკით: „ბარათები ნიანგს“, სადაც ერთ-ერთ წერილში აღნიშნული იყო, რომ გორის რაიონის სოფ. მერეთში კლუბი დანგრევის პირზეა და 365 სკამიდან 85 სკამიდან დარჩენილია. დღესაც არ იცის „ნიანგმა“, მერეთის კლუბს სკამები მოემატა თუ კლუბიანად აღიგავა პირისაგან მიწისა.

ასევე არ იცის „ნიანგმა“, რა ბედი ეწია ა/კ რკინიგზის სადგურ ქსნის ახლომახლო მდებარე ტერიტორიას, რომლის ანტისანიტარიულ მდგომარეობაზე გვწერდა ი. ადამაშვილი. საინტერესოა, დანაგვიანებული ტერიტორია კიდევ უფრო დანაგვიანდა თუ, პირიქით, გაწმინდეს და წესრიგში მოიყვანეს?

ჩვენი ჟურნალის ა/წ. მე-4 ნომერში დაბეჭდილ წერილში — „ბარათები ნიანგს“ — აღნიშნული იყო, რომ ცხინვალის რაიონის სოფ. ძარწემში ოცი წლის ლოდინის შემდეგ კლუბში კინოდანადგარის დამონტაჟება ვერ მოხერხდა, სოფელს არა აქვს მედპუნქტი. ძარწემელებმა წერილის დაბეჭდვისათვის „ნიანგს“ ტელეფონითაც კი გადაუხადეს მადლობა. ა/წ. მე-11 ნომერში ცხინვალის ჯანდაცვის განყოფილების პასუხიც გამოქვეყნდა, მაგრამ რატომ დუმან კულტურის განყოფილების მესვეურნი?

ამავე ბარათებში „ნიანგი“ სიღნაღის რაიონის სოფელ ანაგისა და გურჯაანის რაიონის სოფელ ქარდენახის მესვეურებს სთხოვდა, ყურად ეღობათ სოფლებების გასაჭირი, კერძოდ, ამ ორი სოფლის გამყოფი ზრამ-ხევი, რომელიც ანტისანიტარიის ბუდედ იყო ქცეული, ხეივანად თუ არა, სისუფთავის კერად მაინც გადაექციათ. „ნიანგი“ დღესაც ელის პასუხს!..

მე-4 ნომრის ბოლო ბარათით „ნიანგი“ დუშელ მე-მონტაჟებს სთხოვდა დაეჩქარებინათ კანალიზაციის მიწების დამონტაჟება, რომლის გაყვანა ამ სამიოდე წლის წინათ დაიწყეს რაიონის ცენტრალურ ქუჩებში. „ნიანგმა“ არ იცის, რა ბედი ეწია წყალკანალიზაციის მიწებს, რომელთა წყალობით წვიმაში ქუჩა ატალახებულია, კარგ ამინდში კი მტვრის ბული დგას.

იმავე მე-4 ნომერში დაბეჭდილ წერილში — „ამოცანა გვეკითხება“ — „ნიანგს“ ანტერესებს, აქვს თუ არა ქარელის რაიონის სოფელ ბრეთის მცხოვრებთ ახალი კლუბი (ძველი 1973 წელს დაიწვა). აღადგინეს თუ არა სავენტილაციო არხები თბილისის თემქის დასახლების III მიკრორაიონის II კვარტალის № 28 კორპუსის IV სადარბაზოში, რომელიც შვიდ წელს დახშული იყო. ამ კითხვაზე პასუხი უნდა გასცენ ქარელის რაისაბჭოს აღმასკომმა და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საპროექტო კანტორამ, მაგრამ ჯერჯერობით დუმან.

„ნიანგი“ კვლავ ელის პუნქტუალურ პასუხებს დაბეჭდილ და გადაგზავნილ კრიტიკულ წერილებზე.

ნანა ჯაჯანაშვილი

ნან. ა. სანადირაძისა



— ნატურისთვალი რომ გქონდეს, რას ინატრებდი?

— ვინატრებდი, შენ ჩემთვის ზედმეტი არ გადაგხდევინებინოს!



სატიკოსი და იუმორის ქუ-
რნალი „სატიკო“ № 17
(1675) სექტემბერი. გამო-
დის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ გოლგვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი).
ვახუა ამირეჯიბი, ნომადი
ბარათია, ბორის გურგუ-
ლია, ნოდარ დუმბაძე, რე-
ვაზ თვარაძე, ჯემალ ლო-
ლუა, ნოდარ მალაზონია
(მხატვარ - რედაქტორი),
ალექსანდრე სამსონია,
ბეჟან სიხარულიძე (მთავარი
რედაქტორის მოადგილე),
ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ
წიფივაძე, ნაფი ჯუსიოთი.

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ კუხალაშვილი

გადაცა ასაწყობად 14.8.
84 წ. ხელმოწერილი დასა-
ბეჭდად 14. 9. 84 წ. ქალაქ-
ლის ზომა 60 X 90/8
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცე-
ლი 1.25, სააღრიცხვო-საგა-
მომცემლო თაბახი 1,7, სა-
ქართველოს კბ ცკ-ის გა-
მომცემლობა, ლენინის, 14
ჰეკეთა № 1808 უფ 00083
ტირაჟი 138.300. ქურნალი.
გამოდის თვეში ორჯერ.
რედაქციაში შემოსული მა-
სალები ავტორებს არ უბ-
რუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 880008.
თბილისი-8, რუსთაველის
პროსპექტი № 42.
ტელეფონები: მთავარი
რედაქტორის — 99-55-54.
მთ. რედ. მოადგილის —
93-19-42, პ/მგ მდივნის —
93-10-78, მხატვარ-რედაქ-
ტორის — 99-02-38, გან-
ყოფილებათა გამგეების —
93-49-32, რედაქტორ-ლიტ-
მუშაკების — 99-02-38,
მდივან - მემანქანის —
99-76-69.

სატიკო - юмористиче-
ский журнал «НИАНГИ»
(На грузинском языке)
Тбилиси, пр. Руставели
№ 42. Издательство ЦК
КП Грузии. Типография
издательства ЦК КП
Грузии, Тбилиси, улица
Ленина № 14.

ფასი 20 კაპიკი
ინდექსი 76137

